საქმე №010910026900189044

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
საქართველოს სახელით

საქმე №სსდ-02-26 **30 მარტი, 2026 წელი,**
თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის
შემადგენლობა:

თავმჯდომარე ლევან ნემსაძე (მომხსენებელი)
მოსამართლეები: ბადრი შონია
თეა ძიმისტარაშვილი

სხდომის მდივანი - მაია ჯინორია

საჩივრის ავტორი - ა. გ–ი (სიითი №2---)

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
წარმომადგენელი - თ. ხ-ი, ს. თ–ი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის №015/25 გადაწყვეტილება

საჩივრის ავტორის მოთხოვნა - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის №015/25 გადაწყვეტილების გაუქმება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

გასაჩივრებული გადაწყვეტილების შინაარსი:

1. 2025 წლის 7 თებერვალს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა დ. თ-მ და მოითხოვა ადვოკატ ა. გ–ისთვის

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატ ა. გ–ს მიმართა 2023 წლის ივლისში, სამოქალაქო საქმეზე საადვოკატო მომსახურების მისაღებად. მხარეთა შეთანხმებით, მოპასუხე ადვოკატს დ. თ-ს სახელით უნდა მიემართა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის მოპასუხე მხარის თ. შ-ს მიმართ 17 000 ევროს დაკისრების თაობაზე.

1.3. დ. თ-ს განმარტებით, ადვოკატმა მას მიაწოდა ინფორმაცია, რომ სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი და კლიენტი დააიმედა ყველაფერი კარგად იქნებოდა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, ადვოკატმა კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია, რომ სასამართლომ დააკმაყოფილა მისი სასარჩელო მოთხოვნა და 30.01.24 წელს, სოციალურ ქსელში გაუგზავნა სააღსრულებო ფურცელი, რომლის მიხედვითაც მოპასუხე თ. შ-ს, მის სასარგებლოდ დაეკისრა 17000 ევროს გადახდა. ადვოკატი ერთი წლის განმავლობაში ეუბნებოდა მას, რომ სააღსრულებო ფურცელი ნამდვილი იყო.

1.4. დ. თ-ს განცხადებით, 2025 წლის 3 თებერვალს მისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატი აწვდიდა არასწორ ინფორმაციას და, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრის განჩინებით, N2/1915-24 სამოქალაქო საქმეზე „დ. თ-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე“. მისივე განმარტებით, 2024 წელის 20 დეკემბერს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროდან“ მიიღო წერილი, „შეტყობინება აპლიკაციაში ხარვეზის დადგენის შესახებ“, საიდანაც ირკვეოდა, რომ ადვოკატმა ა. გ–მ, კლიენტთან შეუთანხმებლად მიმართა სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ გამარტივებული წარმოების სამსახურს, რის შემდეგაც საჩივრის ავტორმა თავად დაადგინა სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“, რომ ადვოკატს კლიენტისათვის გაგზავნილი სააღსრულებო ფურცელი აღსასრულებლად არ წარუდგენია. მომჩივანმა თბილისის საქალაქო სასამართლოში ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ დაადგინა, რომ ადვოკატს თბილისის საქალაქო სასამართლოში მისი სამოქალაქო საქმე არსებითად არ უწარმოებია. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ, საჩივრის ავტორმა ადვოკატს მიმართა სამოქალაქო საქმეზე გადაცემული დოკუმენტების დაბრუნების მოთხოვნით, რაზეც ადვოკატი არ დაეთანხმა და უპასუხა, რომ მან სარჩელი წარადგინა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში. კლიენტის მიერ ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ ადვოკატს კლიენტთან შეუთანხმებლად, 2024 წლის 16 ივლისს სამოქალაქო სარჩელით მიუმართავს სამტრედიის რაიონული სასამართლოსთვის (საქმე N2/664-24) მოწინააღმდეგე მხარისთვის 15 000 ევროს და არა 17 000 ევროს დაკისრების მოთხოვნით. ამავდროულად, ადვოკატმა განცხადებით მიმართა სამტრედიის

რაიონულ სასამართლოს, სადაც მიუთითა შემდეგი ტექსტი: *„თქვენი* 2024 *წლის 22 ივლისის განჩინებით უარი გვეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. განჩინებას ვეთანხმებით და არ ვასაჩივრებთ“*., სასამართლო საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ვერ ნახა ასეთი განჩინება და ადვოკატისგან სამოქალაქო საქმის მასალების დაბრუნება - მხოლოდ 2025 წლის იანვარში, თბილისის იუსტიციის სახლის ფილიალში მოახერხა, როცა ადვოკატი გააფრთხილა, რომ მიმართავდა სამართალდამცავ ორგანოს. ამ შეხვედრისას, ადვოკატმა ა. გ–მა მას განუმარტა, რომ კლიენტისთვის ადრე გაგზავნილი სააღსრულებო ფურცელი ნამდვილი იყო, თუმცა ვინაიდან სასამართლომ ის უკან გაითხოვა, ადვოკატს დოკუმენტი აღარ ჰქონდა. ადვოკატმა ასევე დაუზუსტა კლიენტს, რომ ვინაიდან მან მიმართა სასამართლოს, საქმეზე ხანდაზმულობის ვადა გასული არ იყო. მოგვიანებით შეიტყო, რომ ადვოკატი ა. გ–ი არის მხოლოდ სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატი და არა სამოქალაქო სამართლის. მომჩივანმა დააზუსტა, რომ ადვოკატთან შეთანხმებით, მისთვის ჰონორარი (500 აშშ დოლარი) საქმის დასრულების შემდეგ, მოწინააღმდეგე მხარისგან მიღებული თანხიდან უნდა გადაეხადა. საჩივრის ავტორმა დააზუსტა, რომ ა. გ–ი ხშირად სთხოვდა თანხას პირადი მიზნებისთვის, რაც შემდეგ კლიენტისთვის არ დაუბრუნებია, თუმცა მისი პრეტენზიები უკავშირდებოდა არა აღნიშნულ თანხებს, არამედ ადვოკატის მომსახურების შეფასებას.

2. ადვოკატ ა. გ–ს ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება არ წარუდგენია და არც საპროცესო კოლეგიის სხდომაში არ მიუღია მონაწილეობა.

3. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მეორე დისციპლინური კოლეგიის გადაწყვეტილებით, დისციპლინურ საქმეზე N015/25 ადვოკატ ა. გ–ის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 ა). 6.1, 6.2 და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-8 მუხლის 5 პუნქტისა და მე-8 მუხლის 6 პუნქტის საფუძველზე.

4. 2025 წლის 5 ივნისის ეთიკის კოლეგიის გადაწყვეტილებით დისციპლინური საქმე N015/25 განსახილველად გადაეცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

ასოციაციის მიერ უდავოდ დადგენილი ფაქტები:

5.1 2023 წელს დ. თ-ს და ადვოკატი ა. გ–ი ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ადვოკატ ა. გ–ს ეწარმოებინა დ. თ-ს სამოქალაქო სამართლის საქმე (საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება, კლიენტის მიერ ადვოკატისთვის 2023 წლის 28 ივნისს, სანოტარო წესით

გაფორმებული მინდობილობა N230856747; ადვოკატ ა. გ-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2024 წლის 29 იანვარს წარდგენილი სარჩელი; ადვოკატ ა. გ-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2024 წლის 2 თებერვალსა და 2024 წელს 07 თებერვალს წარდგენილი განცხადებები).

5.2 ადვოკატმა ა. გ–მა, დ. თ-ს სახელით, სარჩელები წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოში. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ 2024 წლის 22 ივლისს მიიღო სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2024 წლის 30 იანვარს მიიღო სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება (ადვოკატ ა. გ-ს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 29.01.24 წელს წარდგენილი სარჩელი; ადვოკატ ა. გ-ს მიერ სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10.02.24 წელს წარდგენილი სარჩელი; ადვოკატ ა. გ–ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 02.02.24 და 07.02.25 წელს წარდგენილი განცხადებები; სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 22.07.24 წლის N2/664-24 განჩინება).

5.3 ადვოკატმა ა. გ–მა უარი თქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 22 ივლისის განჩინებების გასაჩივრებაზე (ადვოკატ ა-ე გ-–ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2024 წლის 2 თებერვალსა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი განცხადებებ).

5.4 დ. თ-ს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურისგან 2024 წლის 20 დეკემბერს გაეგზავნა აპლიკაციაში ხარვეზის დადგენის შესახებ შეტყობინება (სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ გამარტივებული საქმისწარმოების სამსახურისგან დ. თ-–სთვის 20.12.24 წელს გაგზავნილი აპლიკაციაში ხარვეზის დადგენის შესახებ შეტყობინება).

6. ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ა. გ–მა დაარღვია შემდეგი ნორმები: „ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5.ა) მუხლი). „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით.“

(„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 6.1. მუხლი) „კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის პროფესიული ეთიკის კოდექსის (შემდეგში - „ეთიკის კოდექსი“ მე-3 მუხლი). „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე... კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს“ (ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი) „ადვოკატმა... კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა“ (ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი) და დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა.

7. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის №015/25 გადაწყვეტილება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში კანონით დადგენილი ვადის დაცვით გაასაჩივრა ადვოკატმა ა. გ–მ, რომელმაც გადაწყვეტილების გაუქმება მოითხოვა.

ადვოკატის საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები:
8. ადვოკატის განმარტებით, მის მიმართ გამოტანილ იქნა დისციპლინურ სახდელის ფორმა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, რომლის საფუძველი გახდა ადვოკატის მხრიდან დარღვეული უფლებების თაობაზე დ. თ-ს საჩივარი. აღნიშნული გადაწყვეტილება დაუსაბუთებელი, მკაცრი და ტენდენციურია, რადგან ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ზოგიერთი წევრის მხრიდან ადგილი ჰქონდა მის დევნას.

8.1 ა. გ–ის განმარტებით, დ. თ-ე გაიცნო შემთხვევით, ტრანსპორტით მგზავრობისას, როდესაც ესაუბრა თავისი პრობლემის შესახებ, მას შეეცოდა და დაჰპირდა უანგაროდ დახმარებას, რასაც დ. თ-ე არ უარყოფს, მას დ. თ-სათვის საადვოკატო მომსახურების საფასური, ერთი თეთრიც არ გამოურთმევია. საკითხი უკავშირდებოდა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს; დ. თ-ს გადახდილი (გადარიცხული) ჰქონდა უცხო ქვეყანაში ბიზნესის დასაწყებად ვიღაც ქალბატონისათვის კონკრეტული თანხა, რადგან ამ თანხით არ დაწყებულა ბიზნესი ითხოვდა თანხის უკან დაბრუნებას (ანაზღაურებას). მან თ-ს მისცა საბანკო რეკვიზიტები და პირადად კლიენტმა გადაიხადა სახელმწიფო ბაჟი ზუსტად იმ ოდენობით და ეკვივალენტით (რადგან გადარიცხული იყო ევრო) რაც უნდა ყოფილიყო სასარჩელო მოთხოვნა. ანუ გადახდის დანიშნულებაში მითითებული სასარჩელო მოთხოვნის თანხა ევროებში გადაყვანილია შესაბამი ლარის კურსით და გადახდილია მისი სამი პროცენტი, კერძოდ 15 000 ევროს ეკვივალენტი 48 000

(ორმოცდარვა ათასი) ლარი, იმდროინდელი კურსი შეადგენდა 1458 ლარს, არცერთი თეთრი სხვა რაიმე თანხა დ. თ-ს არსად გადაუხდია. ამდენად ბრალდება, რომ თითქოსდა მან შეამცირა კლიენტთან შეუთანხმებლად სასარჩელო მოთხოვნა, არის აბსურდი, ვინაიდან რამდენიც იყო სახელბწიფო ბაჟი გადახდილი და რაც იყო რეალურად საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი მტკიცებულება, იქიდან გამომდინარე იქნა დაყენებული აღნიშნული მოთხოვნა. ამდენად, მას სასარჩელო მოთხოვნა თვითნებურად არც შეუცვლია და არ შეუმცირებია.

8.2 ადვოკატის განმარტებით, პრეტენზია უკავშირდებოდა იმასაც, თუ რატომ მიმართა სარჩელით სამტრედიის რაიონულ სასამართლოს და არა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რაც სრული აბსურდია შემდეგ გარემოებათა გამო: მან თავდაპირველად მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, კოლეგიამ სარჩელი არ მიიღო წარმოებაში და განჩინებაში მიუთითა, რომ საქმე სამტრედიის რაიონული სასამართლოს განსჯადი იყო, რადგან მოპასუხის ერთადერთი რეგისტრირებული მისამართი იყო ქალაქი სამტრედია. ფაქტობრივად, მოპასუხე საქართველოში იმ დროს საერთოდ არ ცხოვრობდა. ამდენად, საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ქალბატონმა თ. ჩ-მ აბსოლუტურად კანონიერად ქვემდებარეობის პრინციპით - გადაამისამართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში. შემდეგი პრეტენზია ისაა, თუ რატომ არ გაასაჩივრა ეს განჩინება და რატომ დაეთანხმა მას? რაც არის სრული უსაფუძვლო ბრალდება, რადგან საქმე იყო სამტრედიის რაიონული სასამართლოს განსჯადი. მან დაუყოვნებლივ დაწერა განცხადება, დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს, დაიბრუნა სარჩელზე თანდართული მასალები, მათ შორის ბაჟის ქვითრის დედანი და დაუყოვნებლივ მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს იმავე სარჩელით. ყველა ხარჯი სამტრედიის რაიონულ სასამართლოში სარჩელის გაგზავნის და თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის გაიღო პირადად. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, არა განსჯადობის გამო, არამედ მიუთითა გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებზე და მოითხოვა მათი განმარტება და დაზუსტება. ასევე დაეთანხმა განჩინებას, მოითხოვა და დაიბრუნა სარჩელზე თანდართული მასალები ახალი სარჩელის მოსამზადებლად, რის შემდგომაც დ. თ-მ აღარ გააგრძელა მასთან თანამშრომლობა. დ. თ-ს პირველივე მოთხოვნისთანავე დაუბრუნა ყველა მასალა სრულად. ის, რომ სარჩელი არ იქნა რამდენიმეჯერ მიღებული წარმოებაში, არ ადასტურებს, რომ არაპროფესიონალურად მოემსახურა კლიენტს. რაც შეეხება იმას, რომ მან არ აცნობა სპეციალიზაციის თაობაზე, განმარტავს, რომ პირველ ინსტანციაში დავის წარმოება შესაძლებელია რწმუნებულების მეშვეობით და ამის უამრავი მაგალითი არსებობს, შესაბამისად, მას რეალურად არაფერი დაურღვევია.

8.3 ადვოკატის მოსაზრებით, რაც შეეხება გაუგებარ სააღსრულებო ფურცელზე აპელირებას, ეთიკის კომისია არ არის საგამოძიებო ორგანო, რომ რაღაც

დოკუმენტის წარმომავლობაზე ან მის ავთენტიკურობაზე განმარტოს და იმსჯელოს. რაც შეეხება სახდელის ფორმის შერჩევას, ეთიკის კომისიამ დაასაბუთა, რომ: „ეთიკის კომისიამ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები კერძოდ, ადვოკატს არა აქვს მიმდინარე სხვა დისციპლინური სახდელი, თუმცა მისი ქმედების სიმძიმე ერთ-ერთი არსებითი გარემოებაა სახდელის სახის შერჩევისას. ადვოკატის არაკეთილსინდისიერება, რაც გამოიხატა კლიენტის მოტყუებაში, რომელიც იმდენად მძიმე პროფესიული ქცევაა, რომ ქმნის მისი მომავალში განმეორების საფრთხეს პროფესიულ საქმიანობაში.“ სწორედ ამ დასაბუთებით ასოციაციის ეთიკის კომისიამ მიიღო დღემდე უპრეცედენტო გადაწყვეტილება და შეუწყვიტა ასოციაციის წევრობა მაშინ, როდესაც არანაირი სახდელი მანამდე დადებული არ ჰქონია და აბსოლუტურად უსასყიდლოდ მოემსახურა ადამიანს.

8.4 ა. გ–ის მოსაზრებით, აღნიშნული გადაწყვეტილება შინაარსობრივადაც და სახდელის ნაწილში უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოითხოვს, როგორც უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, გააუქმდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სამოტივაციო ნაწილ:

9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დაკვნამდე, რომ ადვოკატ ა. გ–ის საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; ნაწილობრივ გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის N015/25 გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ადვოკატ ა. გ–ს დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელის სახით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით შემდეგ გარემოებათა გამო:

10. სადისციპლინო პალატა, უპირველესად, განმარტავს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[59] მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სადისციპლინო პალატა სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებას ამოწმებს საჩივრის ფარგლებში, როგორც ფაქტობრივი, ისე - სამართლებრივი და დაკისრებული სახდელის სამართლიანობის თვალსაზრისით.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის 75[63]-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა იღებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ გადაწყვეტილებას, თუ საკითხი ეხება ამ კანონის 75[41]-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. ამავე კანონის 75[66]-ე მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას, სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ დაკისრების, დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების უკანონო გამოყენების შემთხვევაში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისთანავე სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია, მიიღოს ამ კანონის 75[41]-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, იმავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გარდა. ამდენად, სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია, ამავე კანონის 75[41]-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება პირის დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში ბრალეულად ცნობისა და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ (კანონის ანალოგია).

11. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორის ძირითადი პრეტენზია იმ გარემოებას შეეხება, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი იგი უსასყიდლოდ და კეთილსინდისიერად მოემსახურა კლიენტს, გაუგებარია სააღსრულებო ფურცელზე აპელირება ეთიკის კომისიის მხრიდან, ვინაიდან დ. თ-ს სააღსრულებო ფურცელთან დაკავშირებით საგამოძიები ორგანოში ჰქონდა საჩივარი შეტანილი და მას უარი უთხრეს გამოძიების დაწყებაზე. მიუხედავად ამისა, კომისიამ მის მიმართ გამოიყენა უსაფუძვლო და შეუსაბამოდ მკაცრი სახდელი, რადგან კომისიის ზოგიერთი წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა მის დევნა.

12. **შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატის მსჯელობის საგანს წარმოადგენს ეთიკის კომისიის მიერ ადვოკატის მიმართ შეფარდებული სახდელის - საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტის მართლზომიერება. ამ მხრივ კი, შეფასების საგანს წარმოადგენს ჰქონდა თუ არა ადგილი სადავო შემთხვევაში, ადვოკატის მიერ კლიენტის ინფორმირებისა და პროფესიული ფუნქციების არაკეთილსინდისიერად შესრულების, კლიენტის მითითებით მოქმედებისა და საადვოკატო საქმიანობის კანონიერების პრინციპის დარღვევას.**

13. *ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის*

თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები; ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2, ქვეპუნქტის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია, დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია. ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის შესაბამისად კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ადვოკატმა საქმე უნდა აწარმოოს კლიენტის მითითებით, ხოლო მე-5 პუნქტის შესაბამისად, ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა, ამავე მუხლის 6 პუნქტის თანახმად, კი ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმისწარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.

14. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

14.1. 2023 წელს დ. თ-ე და ადვოკატი ა. გ–ი ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ადვოკატ ა. გ–ს ეწარმოებინა დ. თ-ს სამოქალაქო სამართლის საქმე (კლიენტის მიერ ადვოკატისთვის 2023 წელის, სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა).

14.2 ადვოკატმა ა. გ–მ, დ. თ-ს სახელით, სარჩელები წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოში. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ 2024 წლის 22 ივლისს მიიღო სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2024 წელის 30 იანვარს მიიღო სარჩელის განსახილველად მიღებაზე უარის თქმის შესახებ განჩინება (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 29.01.24 წელს წარდგენილი სარჩელი; სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 10.02.24 წელს წარდგენილი სარჩელი).

14.3 ადვოკატმა ა. გ–მ უარი თქვა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2024 წლის 30 იანვრისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2024 წლის 22 ივლისის განჩინებების გასაჩივრებაზე (ადვოკატ ა. გ–ის მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში 2024 წლის 2 თებერვალსა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი განცხადებებ).

14.4 დ. თ-ს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ სამსახურისგან გაეგზავნა შეტყობინება, გამარტივებული საქმის წარმოების აპლიკაციაში ხარვეზის დადგენის შესახებ; (დ. თ-სთვის 20.12.24 წელს გაგზავნილი შეტყობინება აპლიკაციაში ხარვეზის დადგენის შესახებ).

15. უპირველეს ყოვლისა, სადისციპლინო პალატა მიუთითებს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტთან შეთანხმების, მისი მითითებებისა და ინტერესების შესაბამისად და არ განახორციელოს ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს როგორც კლიენტის ინტერესებს, ასევე ადვოკატის პროფესიასა და როლს საზოგადოებაში.

16. განსახილველ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა იზიარებს ეთიკის კომისიის მსჯელობას იმის შესახებ, რომ ადვოკატ ა. გ–მ დაარღვია ნდობის, კლიენტის ინფორმირებულობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის ეთიკური სტანდარტი, ადვოკატმა არ მიაწოდა კლიენტს საქმის მიმდინარეობის შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაცია, კლიენტთან შეუთანხმებლად შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და სარჩელი წარადგინა სამტრედიის რაიონულ სასამართლოში მოწინააღმდეგე მხარისათვის 15 000 ევროს დაკისრების თაობაზე, სარჩელის ღირებულება დასტურდება დ. თ-ს მიერ სახელმწიფო ბაჟის 510 ევროს, ეკვივალენტი ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრით, რაც შეადგენს დავის საგნის (17 000 ევროს) 3% (საქმის ფურცელი 26). ასევე საქმეში წარმოდგენილია აპლიკაციაში ხარვეზის დადგენის შესახებ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შეტყობინება (საქმის ფურცელი 3), რაც ადასტურებს, კლიენტთან შეუთანხმებლად სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროში“ განაცხადის წარდგენას მოვალის მიმართ გამარტივებული წარმოების დაწყების შესახებ, რითაც ადვოკატმა დაარღვია ვალდებულება ემოქმედა კლიენტის მითითების შესაბამისად. ვინაიდან ადვოკატმა კლიენტს უნდა მიაწოდოს სწორი და ზუსტი ინფორმაცია, რათა კლიენტს, როგორც საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს, საქმის წარმოების ყველა მიმდინარე ეტაპზე სწორი ინფორმაციის მიღება შეეძლოს, საქმის მსვლობისას ადვოკატის დახმარებით შეძლოს ინფორმირებული და კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, ადვოკატი ვალდებულია ყოველთვის იმოქმედოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მასთან შეთანხმებით და დავალებით, შეასრულოს აუცილებელი საპროცესო მოქმედებები და სათანადოდ დაიცვას კლიენტის ინტერესები.

17. სადისციპლინო პალატა ასევე იზიარებს სსიპ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის

კომისიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ადვოკატმა ა. გ–მ დ, თ-ს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის დაწყებამდე და არც შემდგომ სპეციალიზაციის შესახებ არ მიაწოდა ინფორმაცია, რითაც ადვოკატის მიერ დარღვეულია სპეციალიზაციაზე კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება, ვინაიდან დ. თ-მ ადვოკატ ა-ე გ–ს მიმართა სწორედ პროფესიული სტატუსიდან გამომდინარე იმ მოლოდინით, რომ ადვოკატი ფლობდა შესაბამის უნარ-ჩვევებს. ამდენად, კლიენტს ადვოკატისგან უნდა ჰქონოდა ადვოკატის სპეციალიზაციის შესახებ ინფორმაცია, რადგან თავად განესაზღვრა ის საფრთხეები და რისკები, რაც არასპეციალიზებული ადვოკატის მის საქმეში ჩართვას უკავშირდებოდა. შესაბამისად, ადვოკატ ა. გ–ს ეკისრებოდა ვალდებულება, კონსულტაციის ეტაპის დაწყებამდე განემარტა დ. თ--სთვის სპეციალიზაციის თაობაზე.

18. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და გაწევრიანებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში; ამავე კანონის მე-5 მუხლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები და ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები. რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას, კლიენტის წინაშე მის მიერ ნაკისრ მოვალეობებს მოეკიდოს სათანადო გულისხმიერებით, კერძოდ, კლიენტის უფლებების დაცვისა და რეალიზებისათვის იზრუნოს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ პირობებში მყოფი მისი პროფესიის მქონე ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და იმოქმედოს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია კლიენტისათვის ***(იხ. სუსგ საქმე №ას-835-801-2016, 30 ნოემბერი, 2016 წელი).***

19. ამასთან, „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლის თანახმად, კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობასა და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა. სადისციპლინო პალატამ, №სპ-09-17 საქმეზე განმარტა, რომ ადვოკატი უნდა იყოს კლიენტის მრჩეველი და წარმომადგენელი, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ადვოკატმა უნდა

მიიღოს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად, ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით გაკეთებული განცხადებები მესამე პირების მიერ განიხილება როგორც კლიენტის ნების გამოვლენა და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება.

20. სადისციპლინო პალატა მიუთითებს მტკიცების ტვირთზეც და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას; მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. საქართველოს სამოქალაქო სამართალსა და საპროცესო სამართალში არსებობს მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი. აღნიშნული სტანდარტის თანახმად, მტკიცების ტვირთი განაწილებული უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის უფრო მარტივი და ობიექტურად შესაძლებელია. ამტკიცებს ის, ვინც ამტკიცებს და არა ის, ვინც უარყოფს.

21. პალატა კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ადვოკატის ვალდებულებაა, კლიენტს განუმარტოს და ინფორმაცია მიაწოდოს მის საქმისწარმოებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დეტალი და თითოეული საპროცესო მოქმედების მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგი, რომლის მტკიცების ტვირთიც ადვოკატმა ა. გ–მ ვერ დაძლია მოცემულ სადავო საკითხთან დაკავშირებით.

22. სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის შეფასებას იმის შესახებ, რომ ა. გ–მ კლიენტს გადასცა

სააღსრულებო ფურცელი. საქმეში წარმოდგენილია არასრული სააღსრულებო ფურცლის ასლი (საქმის ფურცელი 39), რომლის წარმომავლობისა და ადვოკატის მხრიდან დ. თ-სათვის სოციალური ქსელით გაგზავნის ფაქტი საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან არ იკვეთება და არ დასტურდება. ეჭვქვეშაა სააღსრულებო ფურცლის ნამდვილობა, რის გამოც დ. თ-მ მიმართა საგამოძიებო ორგანოებს, მაგრამ საქმე არ აღძრულა.

23. სადისციპლინო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება არ არის დასაბუთებული ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის ნაწილშიც. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი სრულად ჩამოთვლის ადვოკატის მიმართ გამოსაყენებელ დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებებს. მითითებული მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სახდელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა. გასათვალიწინებელია, რომ გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის ადვოკატ ა. გ–ის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა. ასევე სადისციპლინო პალატაში საქმის განხილვისას ადვოკატმა განაცხადა, რომ მისთვის მისაღები იქნებოდა ადეკვატური სახდელი, თუმცა მიაჩნია, რომ დაკისრებული სახდელი უსაფუძვლოდ მკაცრია. ადვოკატმა ა. გ–მა მის მიმართ ეთიკის კომისიის წევრების უარყოფით დამოკიდებულებაზეც მიუთითა. სადისციპლინო პალატა მიუთითებს საერთო სასამართლოების შესახებ კანონზე (კანონის ანალოგია), რომლის 75[46]-ე მუხლით დადგენილია, რომ „სადისციპლინო კოლეგია დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში მოსამართლის ბრალეულად ცნობის და მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს, თუ სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვის შედეგად დადასტურდა მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა, რაც, თავის მხრივ, სადისციპლინო კოლეგიას ავალდებულებს დაადგინოს ამავე კანონის 75[39]-ე მუხლით გათვალისწინებულ გარემოებათა ერთობლიობა, კერძოდ,“ ჩაიდინა თუ არა მოსამართლემ ქმედება, რომლისთვისაც მას წარედგინა დისციპლინური ბრალდება, ამ კანონის შესაბამისად, არის თუ არა ეს ქმედება დისციპლინური გადაცდომა, მიუძღვის თუ არა მოსამართლეს ბრალი დისციპლინური გადაცდომის ჩადენაში”. ამასთან, ამავე კანონის 75[47]-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილია, რომ სახდელის ზომის შერჩევისას სადისციპლინო კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს, შედეგებს, რომელიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხსა და მოსამართლის პიროვნებას, მის საქმიან და

მორალურ რეპუტაციას“, ანუ ნებისმიერ შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს მოსამართლის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი _ კონკრეტული სახდელის ან ზემოქმედების ღონისძიების შერჩევის წინაპირობას, ამასთან, ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონმდებელი სავალდებულოდ ადგენს ზემოაღნიშნულ ნორმაში განსაზღვრულ სხვა გარემოებათა ერთობლივად არსებობასაც, კერძოდ, მოსამართლის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის, ჩადენილი გადაცდომის სიმძიმისა და მის ჩადენაში მოსამართლის ბრალის ხარისხის შეფასებას.

24. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული ადვოკატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციულობა. „ადვოკატთა შესახებ“ კანონით გადაცდომისათვის დადგენილი სახდელის ალტერნატივის არსებობა სწორედ ასეთ დასაბუთებას საჭიროებს. სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისია ითვალისწინებს იმ ზოგად წესებს, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების გათვალისწინებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის აუცილებელი პირობათაგანია. ამდენად, სადისციპლინო პალატა არ იზიარებს ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან გამოყენებული სახდელის შესაბამისობის თაობაზე ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით გამოყენებულ უნდა იქნეს გადაცდომის შესაბამისი, პროპორციული სახდელი.

25. კონკრეტულ შემთხვევაში, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ეთიკის კომისიის შეფასება არაპროპორციულია ადვოკატის მიერ ჩადენილ ქმედებისადმი რამაც ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის შეუსაბამობა გამოიწვია. ამდენად, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ადვოკატ ა. გ–ს უნდა დაეკისროს უფრო მსუბუქი დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით.

26. პალატა მიუთითებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე, რაც ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუმცა იგი არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ

არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად *(იხ. „ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ,“ #7932/03; VaN№ de Hurk v. N№etherlaN№ds, par.61, Garcia Ruiz v. SpaiN№ [GC] par.26; JahN№ke aN№d LeN№oble v FraN№ce (dec.); Perez v FraN№ce [GC], par. 81).*

27. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ ეთიკის კომისიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება სახდელის დაკისრების ნაწილში არ არის დასაბუთებული, შესაბამისად, საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს ნაწილობრივ და მოცეულ საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[61] მუხლით, 75[62] მუხლით, 75[63] მუხლის „გ“ ქვეპუნქტით 75[65] და

გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ა. გ–ის საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ნაწილობრივ გაუქმდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 2025 წლის 20 ოქტომბრის №015/25 გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ადვოკატ ა. გ–ს დაეკისროს დისციპლინური სახდელის სახით საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 (ერთი) წლის ვადით;

4. გადაწყვეტილება გაეგზავნოთ მხარეებს;

5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე **ლევან ნემსაძე**

მოსამართლეები: **ბადრი შონია**

თეა ძიმისტარაშვილი